ოზურგეთის თეატრი 150 წლისაა

წითელი ხალიჩა თეატრალურ მოედანზე

ალიონი. 5 ივლისს გურიის სათავო ქალაქის მდიდარი ისტორია ერთი მარადგაუხუნარი ფურცლით შეივსო - ოზურგეთმა და სრულიად გურიამ მშობლიური, ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 150 წლის თავი იზეიმა.

წითელი ხალიჩითა და სხვა თეატრალური დეკორაციით მორთულ თეატრალურ მოედანზე გამართულ მრავალფეროვან ღონისძიებებს დაესწრნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

იუბილარი თეატრის დასის თითოეულ წევრს ხვდა ბედნიერება მაყურებლის წინაშე წარმსდგარიყო წითელი ხალიჩის გავლით.

სარესტარაციო ხარაჩოებში ჩასმული თეატრის შენობის „თაღებში“ გაიმართა კინოსა და თეატრის ვარსკვლავის ამირან ქადეიშვილის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი ჯილდოს „ხელოვნების ქურუმით“ დაჯილდოების ცერემონია; გაიხსნა ოზურგეთის თეატრის სახელობითი ვარსკვლავი. აჟღერდა თეატრის ჰიმნი, რომლის ტექსტი ეკუთვნის პოეტ მაია ღლონტს, ხოლო მუსიკა - გოგი ჩლაიძეს.

კოლეჯ „ჰორიზონტის“ საქტო დარბაზში შედგა საიუბილეო წიგნი-ალბომის „ოზურგეთის თეატრი 150“ პრეზენტაცია. როგორც აქ ითქვა, ეს არის ყველაზე სრულყოფილი მონოგრაფიული ნაწარმოები ოზურგეთის თეატრის ისტორიის შესახებ.

მოგვიანებით ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში, საზეიმოდ გაიხსნა ნოდარ დუმბაძის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ოზურგეთის თეატრის სპექტაკლით „მონატრება“, რომელშიც მონაწილეობა თეატრის ყველა მსახიობმა მიიღო.

სპექტაკლის ბოლოს მსახიობები დაჯილდოვეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის და რუსთაველის საზოგადოების სხვადასხვა სახელობითი პრემიებით.

წლეულს ნოდარ დუმბაძის მეორე საერთაშორისო ფესტივალი ოზურგეთის თეატრის იუბილეს ეძღვნება. ოზურგეთში სათეატრო ხელოვნება 1868 წლიდან იღებს სათავეს და მას შემდეგ ამ პროცესს არსებობა არ შეუწყვეტია. ოზურგეთში ქართული პროფესიული რეჟისურის ფუძემდებელი ალექსანდრე წუწუნავაა, რომლის სახელსაც ოზურგეთის თეატრი ატარებს.

ოზურგეთის თეატრი ერთადერთი პროფესიული თეატრია გურიის მხარეში და მნიშვნელოვანი კულტურული კერა დასავლეთ საქართველოში, არა მხოლოდ თავისი ისტორიით, არამედ, თანამედროვეობით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ვასილ ჩიგოგიძე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით ოზურგეთის თეატრის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც 2020 წელს დამთავრდება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 27 (10272) 9 ივლისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლების სამუშაო ვიზიტი ლიტვაში

პროექტის „აქტიური ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისთვის“ ფარგლებში ალიტუსის რაიონს ოზურგეთის საკრებულოს, მერიის და გურიის მხარის წარმომადგენლები ეწვივნენ.

ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ალიტუსის რაიონის მერთან ალგირდას ვრუბლიაუსკასთან. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით განხორციელებული პროექტების შესახებ. დაიგეგმა სამომავლო ღონისძიებებიც.

პროექტს „აქტიური ადგილობრივი მოქმედებების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისათვის", ლიეტუვას საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ალიტუსის რაიონის ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებს. ცნობისათვის, წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტებმა ერთობლივად რამდენიმე პროექტი განახორციელეს.

უახლოეს პერიოდში იგეგმება ალიტუსის მერის ვიზიტიც ოზურგეთში.

„ჩვენ უნდა გვქონდეს ხელთ კომპეტენტური სამსახურების შეფასებები“

ნუგზარ ასათიანი

სოფელ დვაბზუში შპს „New Road“-ის მობილური ტიპის ასფალტის ქარხანა და სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო გაიხსნა, რომლის მაქსიმალური წარმადობა საათში 150 ტონა ასფალტია, ხოლო ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის წარმადობა – 130 ტონა. ახალი საწარმოში 44 ადამიანი დასაქმდა იგი დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონს ემსახურება. ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი სიხარულით შეხვდა ახალი სამუშაო ადგილების შექნას, ხოლო ნაწილი კი ფიქრობს, საწარმო სიკეთესთან ერთად მიმდებარე სოფლის მოსახლეობას ეკოლოგიურ პრობლემებს მოუტანს და ხელს შეუშლის ტურიზმის განვითარებას. გაზეთი „ალიონი“ გასულ კვირაში სწავლობდა ამ თემას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას სოფელ დვაბზუს, ცხემლისხიდის და ფამფალეთის სათათბიროს წევრების სახელით სოფელ გაღმა დვაბზუს სკოლის პედაგოგმა **ლალი ბასილაშვილმა** განცხადებით მომართა:

„სოფელ გაღმა დვაბზუს ტერიტორიაზე საზოგადოებასთან შეუთანხმლებლად, უნებართვოდ აამუშავეს ქვის სამტვრევი და ასფალტის ქარხანა, რამაც სოფლის მცხოვრებლების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. მსგავსი საწარმო (ასფალტის კუსტარული ქარხანა) წლების წინ მუშაობდა მდინარე ნატანების კალაპოტში დვაბზუ-მელექედურის საზღვართან, რაც ეკოლოგიურად მიუღებელი აღმოჩნდა მოსახლეობისათვის.

ახალი ქარხნის ტერიტორიას ახლო მანძილით ესაზღვრება მელექედურის, დვაბზუს, ბაღდადის, ცხემლისხიდის მოსახლეობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი საწარმოო ზონად გამოყენება დაუშვებელია. ასფალტის წარმოების პროცესში გამოიყოფა ნახშირწყალბადის მომწამვლელი გაზები—აზოტის დიოქსიდი, ნახშირორჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის დიოქსიდი და სხვა, რაც ზღვრული დასაშვები ნორმის ფარგლებშიც კი იწვევს ფილტვების დაავადებას, ზედა სასუნთქი ორგანოების დაზიანებას, კერძოდ ბრონქიტს, პნევმონიას, ასფიქსიას, თვალების გაღიზიანებს, თავის ტკივილს, ჰემოგლობინის ვარდნას, სასუნთქი გზების ანთებებს, ასთმურ მოვლენებს, მცირეწლოვანებში – არავჯან საღ განვითარებას, ხოლო დასაშვებ ნორმაზე გადამეტების შემთხვევაში ფილტვების შეშუპებას და სიკვდილს.ასევე ხდება ჰაერისა და წყლის მოწამვლა. ეს უკვე ვიწვნიეთ წარსულში – წყალში თევზი გაწყდა და სოფლებში ფუტკარი.

დღეს სოფელი თავის ტერიტორიას ტურისტულ ზონად მოიაზრებს და არა საწარმოო ობიექტების ადგილსამყოფელად. მოსახლეობა ცდილობს მოაწყოს საოჯახო სასტუმროები და ამ კუთხით ჩაერთოს ბიზნესის წარმოებაში. დვაბზუს ორმა მეწარმემ მოახერხა ეკოლოგიურად სუფთა თაფლი გაეყიდა თურქეთსა და გერმანიაში. სოფლის მიწისქვეშა წყლების გამოყენებით ფიქრ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბესიკ მელუამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას სასამართლო დავა მოუგო

გადაწყვეტილება მოსამართლე, მარინა კიკნაძემ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, 4 ივლისს, გამოცხადა. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით ხათუნა სურგულაძის და ქეთევან კვაჭანტირაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდება „უსაფუძვლობის გამო“. მოგეხსენებათ ადმინისტრაციული საქმე „ხათუნა სურგულაძე, ბესიკ მელუა, ქეთევან კვაჭანტირაძე მერიის წინააღმდეგ“ რამდენიმე თვე იყო განხილვაში. მოსარჩელეები სამუშაოზე აღდგენას და განაცდურების ანაზღაურებას ითხოვდნენ.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ნათქვამია:

„ბესიკ მელუას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ბათილად იქნას ცნობილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 30 იანვრის ნომერი 2019 ბრძანება და ბესიკ მელუა აღდგენილი იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ბესიკ მელუას აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2018 წლის თებერვლიდან, სამსახურში მის აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ხელფასის (თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2000 ლარს) ოდებობით. ასევე აუნაზღაურდეს 2018 წლის იანვრის თვის დანაკლისი 500 ლარი.“

ბესიკ მელუას სარჩელი მხოლოდ „დაუყოვნებლივ აღსრულების“ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. „ბესიკ მელუას მოთხოვნა, დაუყოვნებლივ აღდგეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არ დაკმაყოფილდეს. ბესიკ მელუას მოთხოვნა იძულებითი განაცდურის დაუყოვნებლივ გაცემასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნას მიცემული ბესიკ მელუას სასარგებლოდ მხოლოდ სამი თვის ხელფასი“ – განაცხადა მოსამართლემ.

„ბათილად იქნას ცნობილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და ამ კონკურსისი შედეგები. ბათილად იქნას ცნობილი მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ინწკირველის დანიშვნის ბრძანება“ –გამოაცხადა მოსამართლე მარინა კიკნაძემ.

გადაწყვეტილების გამოცხადებას ბესიკ მელუა და ქეთევან კვაჭანტირაძე დაესწრნენ, ხოლო ხათუნა სურგულაძე სასამართლო დარბაზში არ შევიდა, განაჩენს მოსაცდელ დარბაზში ელოდებოდა.

www.femicide.ge - პორტალის პრეზენტაცია ოზურგეთში

გასული კვირის ხუთშაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ვებ-პორტალის **www.Femicide.ge**-ს პრეზენტაცია გაიმართა. პორტალი "ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის" პროექტის ფარგლებში შეიქმნა.

პრეზენტაციას საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლები, პოექტის კოორდინატორი, თინა ცომაია და ასისტენტი, ია შალამბერიძე უძღვებოდნენ. სტუმრებს **www.Femicide.ge**-ს ძირითადი სტრუქტურა და მონაცემთა ბაზის გამოყენების საფუძვლები გააცნეს. თავდაპირველად, განმარტა ტერმინი ფემიციდის მნიშვნელობა" ფემიციდი არის ქალის მოკვლა იმის გამო რომ ის ქალია" თქვა ცომაიამ. "ტერმინი ბოლო დროს გახდა ცნობილი. ჩემმა სტუდენტმა ჩაატარა კვლევა, აღმოჩნდა რომ 2012 წელს არცერთ საგაზეთო წერილში არაა ნახსენები ტერმინი ფემიციდი. 2018 წლს კი უკვე 58-ჯერაა ნახსენები" აღნიშნა მან.

ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში შემწეობის მიღება აღარ შეუწყდებათ

„სოციალური დახმარების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილება შედის. ამის შესახებ მთავრობის 29 ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული. კერძოდ, დადგენილების თანახმად, დემოგრაფიული ცვლილების – ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის განმეორებითი შეფასების პერიოდში, საარსებო შემწეობის გაცემა აღარ შეჩერდება.

„2018 წლის 1 ივნისის შემდეგ ოჯახში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილების – ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების შემდეგ სპეციალური ფორმის დოკუმენტის – ოჯახის დეკლარაციის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე ოჯახს გადაუანგარიშდება დანიშნული საარსებო შემწეობა, ოჯახის გარდაცვლილი წევრ(ებ)ის კუთვნილი თანხის გამოკლებით. თუ გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის გაცემა გაუგრძელდება გადამოწმების შედეგად ოჯახის წევრთა რაოდენობიდან და მინიჭებული სარეიტინგო ქულის ოდენობიდან გამომდინარე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება ამ წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების შემდეგ სპეციალური ფორმის დოკუმენტის – ოჯახის დეკლარაციის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე გაცემული საარსებო შემწეობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება,“- აღნიშნულია დადგენილებაში.

გაგა გოგიჩაიშვილი: მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული

ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, პირველრიგში, საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღებამდე დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის არარსებობასთან. მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული და ჩართული აღნიშნულ პროცესში, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სანამ საკუთარი თვალით არ იხილეს ამ ადამიანებმა მშენებლობა, მანამდე მათ არავინ ესაუბრა და არ ჰკითხა აზრი, არ მიაწოდა ინფორმაცია წინასწარ, რომ მათ მეზობლად მსგავსი ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო... ინვესტორიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგანაც კეთილი სურვილების ნაცვლად ამხელა წინააღმდეგობას წააწყდა მოსახლეობიდან... ნებართვებიც სახელმწიფოს მხრიდან სავარაუდოდ სრულიად ლეგიტიმურად არის გაცემული და სიხარულით გეგმავდნენ მსგავსი საწარმოს გახსნას, რაც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის... მაგრამ არსი პრობლემის მდგრადი განვითარების გაგებაშია, რომელიც ყველას და ყველაფერს მოიცავს ჩვენს გარშემო, განსაკუთრებით იმ სივრცეში, სადაც ვცხოვრობთ.

ჩვენი მიზანი განვითარების პარალელურად უნდა გულისხმობდეს გურიის ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის შენარჩუნებას მომავალი თაობებისთვის. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით და პერსონალური პასუხისმგებლობის აღებით.

თუ ყველა მხარე მოვინდომებთ, რთული იქნება, მაგრამ ვფიქრობ შევძლებთ გამოსავლის მოძებნას ამ მოცემულობაში და ჩვენი გუნდი და მეც მზად ვარ ჩავერთო გადაწყვეტის ძიებაში ყველასთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ ეს შემთხვევა მივიღოთ როგორც კარგი მაგალითი ყველა მხარისთვის და დროულად დავიწყოთ მუშაობა საწარმო ზონების გამოსაკვეთად, მის გასავითარებლად. ამაზე მუშაობა დღესვეა დასაწყები, რომ შედეგი მალევე დადგეს და გახდეს ხელშესახები ყველასთვის. მაგალითისთვის, მსგავსი საწარმოები, მცირე ინდუსტრიული ზონები თავისი სრულყოფილი ინფრასტრუქტურით განვითარებულ ქვეყნებში ავტობანების პარალელურად არის განთავსებული და არა ეკო და კულტურული მემკვიდრეობის ზონებში. ეს ავტობანი გურიის ნაწილსაც ფარავს და ნამდვილად გვეკუთნის ჩვენს რეგიონს და ყველა გურულს მისგან სარგებლის მიღება.

გაგა გოგიჩაიშვილი,
გურიის რეგიონული აქტივობის ჯგუფის (**RAGG**) თანადამფუძნებელი

ტრაგედია სოფელ გაღმა დვაბზუში

ალიონი. 1 ივლისს სოფელ გაღმა დვაბზუში ადგილობრივი მცხოვრების რ.თ-ის ეზოში დამარხული ქალბატონის გვამი იპოვეს. აღნიშნულზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1938 წელს დაბადებული რ.თ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, თავის დას - 1936 წელს დაბადებულ კ.თ.-ს, ჩაქუჩით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც კ.თ. ადგილზე გარდაიცვალა. ასევე, დადგინდა, რომ რ.თ.-მ გარდაცვლილი დის ცხედარი საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, ეზოში დამარხა, ხოლო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალის დაფარვის მიზნით, პოლიციაში განცხადება შეიტანა, თითქოს, მასთან ერთად მცხოვრები კ.თ., რამდენიმე დღეა უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.თ. საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს, ხოლო გარდაცვლილი ქალბატონის ცხედარს ბრალდებულის ეზოში მიაკვლიეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ბრალდებულს ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე გიორგი ზვიადაძე), ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

სოფელ კონჭკათში დაზიანებული საგზაო მონაკვეთის აღდგენა დაიწყო

ოზურგეთის მუნიციპლიტეტის მერიამ სოფელ კონჭკათში დაზიანებული საგზაო მონაკვეთის აღდგენა დაიწყო.

სავალი გზის ნაწილი, რომელზეც სოფლის სასკოლო ავტობუსი მოძრაობს და ბავშვები გადაჰყავს ჩამოშლილი იყო და გადაადგილების საფრთხეს ქმნიდა.

მიმდინარეობს დამცავი გაბიონის მოწყობა.

ადგილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან, თემურ გიორგაძესთან ერთად იმყოფებოდა.

გზის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დასრულდება

„ჩვენ უნდა გვქონდეს ხელთ კომპეტენტური სამსახურების შეფასებები“

ობენ საცხოვრებელი პირობები გაიუმ ჯობესონ თევზის აუზის მოწყობით.

ცენტრალური გზის ხიდების ზედა ნაწილში რამდენიმე ქვასატეხი იყო მოწყობილი, შედეგად ახლომდებარე მოსახლეობის ჭებში წყალი დაშრა, პირველ ხიდს საძირკველი ჩამოეშალა და გაიღუნა. დამბები ჩაასხეს ქვიშის შესაკავებლად, ხიდი შეაკეთეს და ძველ დონემდე ცემენტით გაამაგრეს. ხოლო მეწარმეებისაგან მოითხოვეს ხიდიდან 1,5-2 კმ მანძილზე არ ეწარმოებიათ ქვის ამოღება.

იმ პერიოდში, სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნით, მდინარე ნატანების ორივე კალაპოტიდან 24, ადამიანისათვის მავნე საწარმო იქნა ლიკვიდირებული ან გადატანილი საწარმოო ზონაში...

ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, საწარმოს შესამოწმებლად თბილისიდან ჩამოვიდა გარემოს დაცვის სამინისტროს კომისია. როგორც ჩანს, მათ განცხადების ხელისმომწერებთან შეხვედრა და გასაუბრება გადაწყვიტეს; მე შემთხვევით აღმოვჩნდი მათ შორის, რადგან აქ სოფელ ბახვისა და ჩვენი სოფლის ის მცხოვრებლები ჰყავდათ შერჩეული, რომლის ოჯახის წევრები აქ მუშაობენ. განცხადებაზე არც ერთი ხელისმომწერის ოჯახის წევრი არ იქნა გაფრთხილებული შეხვედრის თაობაზე, ასე, რომ ეს არ ჩაითვლება საზოგადოებასთან შეხვედრად... უკმაყოფილო დარჩა ის გერმანელი ინვესტორიც, რომელმაც ძრობა დაინახა საწარმოსთან მისული. შეკითხვაზე, რატომ აირჩიეს ეს ადგილი უპასუხეს: –ადრე აქ იყო მსგავსი საწარმო და ამიტომაცაა..

ძველი, კოლექტიური წყობილების დროს დაშვებული შეცდომით ისარგებლეს და ხელში ჩაიგდეს ჩვენი სოფლის საუკეთესო სავარგულები და ტურების თავშესაფარად აქციეს.

ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა გარემო გვინდა, მათ ჩვენი უბედურების ხარჯზე ბიზნესის კეთება, ამიტომ ვერ დავზავდებით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა და აღკვეთოთ ადამიანთა ჯანმრთელობისთვის საზიანო ქმედებები მდ. ნატანების აუზსა და სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გაცნობებთ, რომ *სამი სოფლის ბაზაზე შეექმენით სოფლის სათათბირო და თუ არ დააკმაყოფილებთ ჩვენს მოთხოვნებს, მივმართავთ აქციებს. შეგახსენებთ, რომ რაიონისთვის პრიორიტეტი არის ტურიზმი და ჯანმრთელი გარემო. აქედან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უპირატესობა არ უნდა მისცეს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.*“

გაზეთი „ალიონი“ შპს „გზამშენი 18“-ის წარმომადგენელ **გია მასხულიასთან**, სოფლების ცხემლისხიდის, დვაბზუს მაჟორიტარ დეპუტატებთან **ლალი სიჭინავასა** და **როზეტა სკამკოჩაიშვილთან**, მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ დვაბზუს ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელ **ვასილ ღლონტთან** ერთად შპს „New Road“-ის კუთვნილი ასფალტის საწარმო და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები დაათვალიერა და საწარმოს ხელმძღვანელებს ესაუბრა:

ლავით ჟღენტი, შპს „New Road“-ის გენერალური დირექტორი, საწარმოს მფლობელი: – „New Road“-ის ასფალტბეტონის ქარხანა ერთ-ერთი უნიკალური საწარმოა კავკასიაში. უახლოესი გერმანული დანადგარებით, ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაა, რომელიც ბუნებრივ აირს იყენებს. ასეთი საწარმოები გერმანიაში აეროპორტების მიდამოებშია განთავსებული. ერთ-ერთი თავად ვნახე ბერლინის აეროპორტში. ჩვენ შეგვეძლო ჩინური ქარხანა შეგვეძინა, რომელიც 200 ათასი ევრო ღირს, მაგრამ გერმანულ მობილურ ქარხანაზე გავაჩერეთ არჩევანი და 2 მილიონი ევრო გადავიხადეთ. ჩვენი პროექტი რომ ბუნებისთვის, მოსახლეობისთვის საზიანო ყოფილიყო სახელმწიფო „აწარმოე საქართველო“ ფარგლებში 10 მილიონ ინვესტიციას არ გამოგვიყოფდა. საწარმო წარმოადგენს სხვადასხვა აგრეგატების ერთობლიობას და ტექნოლოგია ითვალისწინებს ბიტუმის, შემავსებლის, ქვიშისა და ღორღის დაკავშირებას სპეციალური ტექნოლოგიით. თანამედროვე საფილტრი მოწყობილობას მინიმუმადე დაჰყავს ბუნებაში გამონაბოლქვი. ტექნოლოგიური პროცესების მართვა ხორციელდება კომპიუტერებით ოპერატორების მიერ.

ჩვენ დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონს ვემსახურებით.

– რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?

– ამ ეტაპზე 44 ადამიანი მუშაობს, აქედან 18 ადგილობრივი კადრია. იცით, რომ ახალი მაგისტრალები კეთდება, რაც ასფალტზე მოთხოვნას გაზრდის. სავარაუდოდ საწარმოში ადამიანები კვლავ დასაქმდებიან, კიდევ 44 კაცს დავასაქმებთ.

– თქვენ მიწის ნაკვეთი იჯარით გაქვთ აღებული...

-მიწის ნაკვეთი შპს „გზამშენი 18“-ის კუთვნილებაა. ჩვენ იჯარით ავიღეთ.

– საუბრობენ, რომ მიმდებარე სოფლების მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარების ხმაური..

– ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ჯერ დავიწყოთ იმით, რომ ობიექტის ექსპლოატაცია დღე - ღამეში 8 საათის განმავლობაშია დაგეგმილი. ასფალტის ქარხანა დატვირთული იქნება წელიწადში 150 დღე, ხოლო სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო 200 დღე. ხმაურის ძირითად წყაროს სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენენ, მაგრამ ქარხნის ტერიტორიაზე ხმაურის მაჩვენებელი 30 დეციბალზე მეტი არ არის (ნორმა 38 დეციბალია)...

გავეცანით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებას სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ *„ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სკრინინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შესაძლოა მოხდეს იგი სატრანსპორტო საშუალებების ან საწარმოს დანადგარების არასწორი მართვით, ავრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში. რაც შეეხება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას და ხმაურის გავრცელებას, მოდელირების მიხედვით უახლოესი საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების და ხმაურის დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.“*

ლალი სიჭინავა: – ძალიან მაღელვებს ჩემი თანასოფლელების გულისტკივილი, ვინ თუ არა მე, ვერ გავიზიარო ის შიში და წუხილი, რაც მათ აწუხებს (როგორც ჯანმრთელობის კუთხით, ასევე ჩემი სპეციალობის მხრიდან)... მაგრამ, ასევე ვუსმენ იმ ადამიანებს, ვისაც იმედი ჩაესახა და ახარებს ახალი ინვესტიციის განხორციელება, რომელიც დასაქმებასთან ასოცირდება... *ჩვენ უნდა გვქონდეს ხელთ კომპეტენტური სამსახურებიდან შეფასებები და ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად..* – ეს კი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს... ხალხის ამდენი ხნით გაურკვევლობაში ყოფნა არ შეიძლება. რაც ჩემს შესაძლებლობებშია ჩართული ვარ და თვალყურს ვადევნებ მიმდინარე პროცესებს.

როზეტა სკამკოჩაიშვილი: – მისასალმებელია მუნიციპალიტეტში, სოფელში, ინვესტიციის განხორციელება, რომელიც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის წინსვლას.

ჩემთვის, როგორც სოფლის დეპუტატისთვის, თითოეული მცხოვრებელის აზრი მნიშვნელოვანია. თუ ის ფაქტები, რომელსაც სოფლის მცხოვრებლები აპროტესტებენ, სიმართლეს შეესაბამება, აუცილებლად მოვახდენ ყველა შესაბამისი სტრუქტურის საქმის კურსში ჩაყენებას. მანამდე *აუცილებელია, საკითხი კომპეტენტურმა და კვალიფიციურმა პირებმა შეისწავლონ.*

მე, როგორც დეპუტატი, აუცილებლად მივადევნებ თვალს აღნიშნულ პროცესს ჩემს თანასოფლელებთან ერთად.

ინგა ღუმბაძე, ოზურგეთის კულტურის ცენტრის სარეკრიაციო განყოფილების უფროსი: – ოთხი წლის წინ კოლოსალური შრომა გავწიე და შევქმენი საინტერესო ქეისები. ტურპროდუქტები ორიგინალური პროდუქციის სახით შევფუთე და ნაკლებად პოპულარული ლოკაციები პოპულარული გავხადე.

სოფ. ბაღდადი აღმოჩენა იყო ქართველი და უცხოელი ტურისტებისთვის. შედეგად გაიხსნა რამდენიმე საოჯახო სასტუმრო. აწი როგორ დავხვდებით სტუმრებს არ ვიცი? საკმარისია ერთი ტურისტის ნეგატიური გამოხმაურება ასფალტის საწარმოსთან დაკავშირებით, შეფერხდება ტურ პროდუქტების რეალიზაცია.

– „ხალხნო, გაგვაგებინეთ რა ხდება? ერთი კვირის წინ ოთხი ოქმით დაჯარიმებული საწარმო როგორ ამუშავდა? სახელმწიფოს დაგეგმილი პროექტი „აწარმოე საქართველო“ ჩვენი გადახდილი გადასახადით ხომ ფინანსდება? იგივე ხალხის აზრი, ხომ უნდა გაითვალისწინოთ? გარემოს დაცვის მინისტრი შეცდომაშია შეყვანილი. კომისია გამოაგზავნა დაინტერესებულ ხალხს შეხვდითო. ადგილზე საწარმოს ხელმძღვანელობამ მოიწვია დასაქმების მოლოდინში მყოფი 5 კაცი და მათი ოჯახის წევრები და სამინისტროში შესული კოლექტიური განცხადების არც ერთი ხელმომწერი. შედეგად დაჯარიმებულ საწარმოს ყოველგვარი ნებართვის გარეშე მისცა ფუნქციონირების უფლება. მინისტრს ბრძანებაში უწერია, რომ ტექნიკური წყლის უზრუნველყოფა გამოყენებული იყოს თევსაჭერი ტბორიდან, რომელიც ჯერ არა აქვს საწარმოს შესყიდული. ხალხნო, მდინარე ნატანები არის ეკოლოგიურად სუფთა წყალი ხალხი მას სასმელადაც ხმარობს. მინისტრის ბრძანებაში მოყვანილია ციტატა, რომ ტექნიკური წყლის უზრუნველსაოფად საწარმომ უნდა გამოიყენოს მდინარე სუფსა. წარმოდგენა არა მინისტრს და არც ამათ, სად ნატანები და სად სუფსა. ან რა იცის მინისტრმა წინასწარ ვინ გაიმარჯვებს აუქციონში? მოსახლეობამ გაუგზავნა შესაბამის სამსახურებს ამის თაობაზე წერილი, რომ აუქციონი ჩატარდეს პირობიანი, ტბორები გამოყენებული იყოს თევზის გასამრავლებლად და არა ტოქსიკური ქარხნის წყლით უზრუნველსაყოფად. მოსახლეობაში არის განგაში, რომ სავარგულების სარწყავი არხების სათავეები უკვე მთლიანად დამშრალია. რამდენ სოფელს ასამარებთ ერთი კომპანისს გამდიდრების ხარჯზე? ამ კომპანიაში ადგილობრივებიდან დასაქმებულია სულ ოთხი ადამიანი. პარტონი თუ ყავს ამ ქვეყანას?“–აცხადებს ბაღდადელი **მარინა გავაშელი**.

მაია ჯიშკარიანი, ეკონომისტი (სოფ. ბაღდადი): –ასფალტის ქარხანა ჩემი საცხოვრებელი სახლიდან 300 მეტრში მდებარეობს. მართალია ჯერ-ჯერობით ღამით არ მუშაობენ, მაგრამ დღის განმავლობაში ქვის სამტვრევი დანადგარის და ავტოტრანსპორტის ისეთი ხმაურია, ეზოში ვერ დაჯდები. გვაინტერესებს გავიგოთ, რამ ზემოქმედებას ახდენს ეს საწარმო ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ნათელა თევზაძე (სოფ. დვაბზუ): –ასფალტის ქარხანა ჩვენს პირდაპირ, მდინარის გაღმა, 330 მეტრში მდებარეობს. ჩვენი ეზოს გვერდით კიდევ ჩაის მიკროფაბრიკა ააშენს. ვიცი, ორთავე საწარმოში გერმანული დანადგარებია და ხმაური არ გვაწუხებს.

კოტე სიხარულიძე, (სოფ. დვაბზუ): –ჩვენც ახლოს, ქარხნიდან 300 მეტრში ვცხოვრობთ, მაგრამ ხმაური არ გვაწუხებს.

მარინა სიხარულიძე (კოტე სიხარულიძის მეუღლე): –ხმაური არ გვაწუხებს, მაგრამ უმუშევრობა კი. .მინდა დვაბზუელები დასაქმდნენ ასფალტის საწარმოში.

სტატიაზე მუშაობისას რედაქციას **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოდან** გამოგზავნილი წერილიც გააცნეს:

„მოქალაქე **ანა ბერძენიშვილს**

მის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაღდადი

ქალბატონო ანა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონულ სამმართველოში შემოსული 2018 წლის 18, 20 ივნისის განცხადებებისა და 2018 წლის 19 ივნისს დეპარტამენტის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე, აჭარისა და გურიის რეგიონულ სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 2018 წლის 19 ივნისს განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ დვაბზუში შპს „New Road“-ის კუთვნილი საწარმოს - მობილური ტიპის ასფალტის ქარხნისა და სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს დათვალიერება. ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შპს „New Road“-ის მიმართ გამოვლინდა: სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გარეშე განხორციელების ფაქტი. ასევე, საქმიანობა განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგენის გარეშე.ასევე გამოვლინდა ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის გარეშე მდინარე ნატანებიდან წყლის ამოღებისა და სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა წყლის) უკანონოდ სარგებლობის ფაქტი.

გამოვლენილ დარღვევებზე 2018 წლის 28 ივნისს შპს „New Road“-ის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების შესახებ ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-7-ე მუხლის პირველი ნაწილით; 77-ე მუხლის პირველი ნაწილით; 82-2 -ე მუხლის პირველი ნაწილით და 57-1 მუხლით. სამართალდარღვევების ოქმები განხილვისა და შპს „New Road“-ის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების მიზნით გადაეგზავნება შესაბამის სასამართლოს.“

„კომპანია „New Road”-მა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების ზიანის მიყენების არ არსებობის შესახებ, რომლის შესაბამისად მერიაში მიმდინარეობს **„New Road”**-ის საპროექტო მასალების განხილვა ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით“– კომენტარი გააკეთა აღნიშნულ თემაზე **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურმ**ა.

„მე არ მინდა ახალი, ძველი მირჩევნია“

საიდან მიიღებს მწყურვალი ანასეული წყალს – აჭის სათავე ნაგებობიდან თუ ქალაქის წყალსადენიდან

თემურ მარშანიშვილი

ვერ გეტყვით, ანასეულში ზუსტად როდის გადაწყდება წყლის პრობლემა, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის თავკაცი ანასეულელთათვის მიცემულ სიტყვას ჯერჯერობით ასრულებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ დაუმთავრებელი წინადადებიდან სიტყვა „ჯერჯერობით“ ამოსაღები გამიხდება.

„მოდით, ასე გავაკეთოთ, მე ამ შეხვედრიდან გამოვიტანე შემდეგი დასკვნა – დღესვე, უკვე აქედანვე კომუნიკაცია მექნება იმასთან, ვისაც ევალება ამ საკითხის გადაჭრა, უახლოეს დღეებში ჩვენ ჩამოვალთ აქ იმ ხალხთან ერთად, ვინაც ამაზე კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. მოვუსმინოთ ჩვენ ერთად, ვთქვათ, რა კორექტივები გვექნება მათ გეგმებზე. იმ მომენტიდან, როდესაც მე დავინახავ, რომ ანასეულის მოსახლეობის დავალება და პროფესიონალების, ექსპერტებისა და ინჟინრების ხედვა შეჯერებულია, მზად ვიქნები, რომ პროექტის განხორციელებაში მაქსიმალური ძალისხმევა დავხარჯო. ჩამოვალ აქ, ეს მოხდება ძალიან უმოკლეს დროში, შევიკრიბოთ ისევ, მოვუსმინოთ ამ ადამიანებს, როგორ ხედავენ ამის გადაჭრას, ვუთხრათ ჩვენი კორექტივები, ჩამოვართვათ ხელი, რომ სახელმწიფომ, უფრო სწორად მთავრობამ, პარლამენტმა და ხალხმაც იცოდნენ, რას ვაკეთებთ. შევთანხმდეთ, მერე არ იყოს, იმან რაღაცა ვერ გაიგო, ხალხს სხვა აზრი ჰქონდა, დეპუტატმა სხვა დასკვნები გამოიტანაო. კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს მზადყოფნას, რომ ბოლომდე ვიქნები თქვენს გვერდით, სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება“, – უთხრა ანასეულელებს 21 ივნისს აქ გამართულ შეხვედრაზე **არჩილ თალაკვაძემ**.

ორი კვირის შემდეგ, გასულ ოთხშაბათს, 4 ივლისს ანასეულს უკვე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **გიგა კარსია,** გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ახალი ხელმძღვანელი **ეკატერინე ქალდავა** და წყალმომარაგების სისტემის სხვა სპეციალისტები ეწვივნენ. სტუმრები ანასეულელებს მხარის გუბერნატორმა **მერაბ ჭანუყვაძემ** წარუდგინა. შეხვედრას, რასაკვირველია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

არჩილ თალაკვაძის თქმით, *„კონკრეტულად ამ შეხვედრის მიზანი არის ის, რომ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის იყოს თანხვედრა, როგორ ვაპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას, იმიტომ რომ ამ საკითხს უნდა ჰქონდეს შუალედური გადაწყვეტა, რათა წყლით მომარაგება მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. შეიძლება ამას ჰქონდეს გრძელვადიანი გადაწყვეტაც შემდგომში კაპიტალური ინფრასტრუქტურის განვითარებით, მაგრამ ამას ბევრი დრო სჭირდება. ამდენი დრო კი ნამდვილად არ არის. საზოგადოება, მითუმეტეს ადგილობრივი მოსახლეობა ზაფხულში და ამ პირობებში წყლის გარეშე ნამდვილად ვერ გაძლებს, ამიტომ ჩვენი თხოვნაა და ჩვენი მოთხოვნაა, – მოდით ასე ვთქვათ, – მთავრობამ გამოძებნოს ამ საკითხის სწრაფი გადაწყვეტის გზა. დღეს აქ სწორედ ამისთვის ვართ შეკრებილი. პირადად ჩემი სურვილი იქნებოდა შემდეგი ნაბიჯები იყოს თქვენთან შეთანხმებული. თქვენც იცოდეთ, რას აკეთებს მთავრობა, მთავრობამაც იცოდეს, რა მოლოდინი აქვს ხალხს, რას ითხოვს მოსახლეობა, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს საკითხი“.*

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გიგა კარსიამ ანასეულელებს პრობლემის მოგვარების საშუალო და გრძელვადიანი პროექტები გააცნო და იმედი გამოთქვა, რომ ამ პროექტებში აქტიურად ჩაერთვება მოსახლეობა:

„მირჩევნია საქმიანი შეხვედრა გვქონდეს, ერთობლივად, თქვენი დახმარებითა და გვერდში დგომით, უკეთესად შევძლებთ ამ პრობლემის მოგვარებას. არის საშუალო და გრძელვადიანი პროექტები. ახლა რას წარმოადგენს ეს საშუალო? პროექტირება დასრულებულია ისე, რომ საბოლოოდ თითოეულ ოჯახთან მივიდეს სუფთა წყალი, ვაპირებთ, გამოვაცხადოთ ტენდერი და დაიწყოს სამუშაოები, პარალელურად ერთ თვეში დასრულებული გვექნება ტექნიკური გადაწყვეტა, თუ საიდან უნდა მივიღოთ ეს წყალი, რომელიც მომავალ ზაფხულს თქვენ გექნებათ თავისი მრიცხველებით.

რაც შეეხება გრძელვადიანს, აქ საუბარია დიდ თანხებზე. საკმაოდ ძვირადღირებულია და მოიცავს ოზურგეთსა და მიმდებარე სოფლებს. მასში შედის როგორც წყლით უზრუნველყოფა, ისე გამწმენდი და კანალიზაცია.

ახლა მთავარია უახლოეს დღეებში, კვირეებში მიმდინარე პრობლემა მოვაგვაროთ, თუ როგორ, ამაში თქვენი დახმარება დაგვჭირდება“.

როგორც მხარის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ თქვა, ადგილზე არიან სპეციალისტები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ სისტემაში მუშაობდნენ, შესაბამისად მათაც შეუძლიათ, ასე ვთქვათ, პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება, მაგრამ მოსახლეობას ყველაზე მეტად ის აინტერესებს, როდის დაიწყება ეს პროექტი და საბოლოო შედეგები როდის გვექნება საბოლოო შედეგები.

საკითხების დაკონკრეტების მიზნით არჩილ თალაკვაძემ დღეს არსებულ მოცემულობაზე ისაუბრა:

„რა დასკვნაც გამოვიტანე, მოცემულობა გვაქვს ესეთი: ანასეულს ჰქონდა თავისი წყალმომარაგება, რომელიც ახლომდებარე სოფლიდან მარაგდებოდა, ეს მაგისტრალი დღესაც არსებობს, დროთა განმავლობაში, მაშინაც პრობლემა იყო ამ მაგისტრალზე უკანონო დაერთებები, დღეს ეს პრობლემა კიდევ უფრო გაზრდილია, როგორც მე შევისწავლე 105-ზე მეტი ოჯახის შინამეურნეობა არის დაერთებული უკანონოდ. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სათავეზე დებეტმა იკლო და მეტი ოჯახი დაუეერთდა იმ მაგისტრალს, რომელსაც ანასეული უნდა მოემარაგებინა, წნევაც და მომარაგებაც ანასეულს შეუმცირდა. ანასეულს აქვს თავისი 500-ტონიანი, რეზერვუარი, რომელიც დღეში ერთხელ რომ შეივსოს, 24 საათის განმავლობაში ანასეულის ასე თუ ისე ნორმალურ მომარაგებას უზრუნველყოფს. ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა არის ის, რომ უახლოეს დღეებში და უახლოეს კვირეებში მივაღწიოთ იმას, რომ ამ რეზერვუარის შევსება ანასეულისთვის მოხდეს რეგულარულ რეჟიმში. ამისთვის, რაც ვიმსჯელეთ სპეციალისტებთან და ხალხთან ერთად, არის ორი გზა: პირველი, რომ უკანონოდ დაერთებული შინამეურნეობები ჩავხსნათ ყველგან და გარკვეული დაცვის რეჟიმი დავაწესოთ ანასეულის მაგისტრალზე. იქვეა პარალელური მილი, რომელიც ლიხაურს ამარაგებს და მხოლოდ იმ მილზე იყვნენ ჩართული ლიხაურის ოჯახები; მეორე – მოხდეს ანასეულის რეზერვუარის დაერთება ქალაქის სისტემაზე. ქალაქის სისტემას საკმარისი დებეტი აქვს, რომ 500 ტონა შეუვსოს ანასეულს ყოველდღიურ რეჟიმში. ეს არის მოკლევადიანი გადაწყვეტები.

გრძელვადიანი ის არის, რაზეც ბატონმა გიგამ გესაუბრათ, უბრალოდ მანდ შესასწავლია, ვთქვათ, რამდენად ღირს ათეულ მილიონიანი ინვესტიციის ჩადება იმ მაგისტრალის გაკეთებაში, რომელშიც დებეტის პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე იყო. შეძლებს თუ არა ის სათავე ახალი მაგისტრალის შევსებას სრულფასოვნად, ეს არის შესაფასებელი. მესმის, რომ ეს ძალიან გრძელვადიანი პროექტია. ჩვენ გვინდა, რომ დღეს გადაიჭრას ეს საკითხი, როგორმე უზრუნველვყოთ ანასეულის 500-ტონიანი რეზერვუარისათვის 500 ტონა წყლის შეუფერხებლად მიწოდება დღეღამეში. მე ვფიქრობ, რეალური გამოსავალი ერთია. თუმცა, თუ ანასეულის მაგისტრალიდან უკანონო დაერთებებს ჩავხსნით, ამ შემთხვევაში იმ 105 შინამეურნეობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მეორე მაგისტრალიდან, რომელმაც ანასეულს არ უნდა შეუშალოს ხელი იმიტომ, რომ იმ ოჯახებსაც ესაჭიროება წყალი. თუ ამ გზით წავალთ, ანასეულელთა ინტერესებთან ერთად, ლიხაურელთა ინტერესებიც უნდა დაკმაყოფილდეს. მე პირადად რა შთაბეჭდილებაც დამრჩა, უფრო მეტად ოპტიმალური, სწრაფიც და რეალურიც არის ქალაქის ქსელზე მოხდეს ანასეულის დაერთება თუმცა, მე ვთხოვე ბატონ ლავრენტი ბიგვავას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ექადია-ანასეულის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ, ამ შეხვედრისთვის მომზადებულიყო ერთი ადამიანი, რომელიც ჩვენი აქაური, ანასეულის საზოგადოების პოზიციას მოკლედ ჩამოაყალიბებდა“.

ბატონმა ლავრენტი ბიგვავამ, დავით ცერცვაძე დაასახელა ასეთ ადამიანად. თუმცა, სანამ „სატისის“ თავკაცი შეუდგებოდა სათქმელს, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა თემურ რევიშვილმა ითხოვა სიტყვა:

„მანამდე, ბატონებო, ორ კომენტარს გავაკეთებ, როგორც მასპინძელი და საშუალო სტატისტიკური ანასეულელი, რომელიც ამ პრობლემით არის დაინტერესებული. ჩვენ ისე არ დაგვემართოს, პრემიერმინისტრ ნოღაიდელის დროს კოსმოდრომი რომ აშენდა აგერ, ანასეულის ჩაის ფაბრიკის გვერდით, აქედან ჩანს კიდეც. ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა და ბევრი ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წინაშე დადგა. აქ უმთავრესი ამოცანაა, ამ წყალსადენს გაუჩნდეს პატრონი, ანუ გადმოეცეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, შესაბამის წყალმომარაგების სისტემას. ახლა მთავარი წყლის არტერია რამდენიმე ადგილზე არის დაზიანებული, წყალი იკარგება, ამის მოწესრიგების გზა არის ამ წუთში მისი გადმოცემა, რემონტის ჩატარება და ადამიანების ერთი ჯგუფის გამოყოფა, რომელიც სათავეს პერიოდულად გაწმენდს და შესაბამისობაში მოიყვანს. ამიტომ სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი ეს პოზიცია. დანარჩენი აჭის წყალს დავლევ თუ გუბაზეულისა, აბსურდია. ძირითადი მაგისტრალი არსებობს, დამატებით თუ შეიძლება დაერთება რამეზე, ეს იქნება სწორი პოზიცია და სახელმწიფოებრივი მიდგომა. და, რაც მთავარია, გამრიცხველიანება. ელექტროენერგიის პრობლემა როგორ მოგვარდა? მოგვარდა გამრიცხველიანებით“.

დავით ცერცვაძემ თავის გამოსვლაში მცირე დებეტზე და ღია წყალაღების პირობებში არსებულ სირთულეებზე ისაუბრა:

„პირველი და უმთავრესი რაც არის, ძალიან მცირე დებეტია სათავეზე. არის ღია წყალაღება, ღია წყალაღების პირობებში იმ წყლის მიყვანა სასმელ წყლამდე არის საკმაოდ დიდ სირთულეებთან დაკავშირებული. ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იქ ფილტრების მოწყობა და სასმელ წყლამდე მიყვანა არის ძალიან რთული პროცესი, თავიდანვე დიდი დანახარჯებით, შემდგომ კი ძალიან ცუდი, თითქმის შეუძლებელი ექსპლუატაციით. ჩემს მოსაზრებას ვიტყვი, ამ პრობლემის სწრაფი გადაწყვეტა თუ გვინდა, უნდა მოიძებნოს ალტერნატიული წყარო. იქ დღეს არსებული სიტუაცია დღეს, არ შეესაბამება არანაირ სტანდარტებს“.

არჩილ თალაკვაძის კითხვაზე – გამოსავალს რაში ხედავს, დავით ცერცვაძემ უპასუხა:

„საუბარია იმაზე, ანასეულის მილზე ლიხაურში 120 ოჯახია დაერთებული. ჩასაჭრელად საკმაოდ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, ვინც არის, ჯერ მოსაძებნია და მერე, რა თქმა უნდა, ისინი უნდა გადაერთონ ლიხაურის მილზე. ასეც რომ არ იყოს, ამით პრობლემა რადიკალურად მაინც არ გადაწყდება. ალტერნატივის გამოძებნა, ჩემი აზრით, აუცილებელია“

ცერცვაძის ინფორმაციას სათავეზე წყლის დებეტის სიმცირის შესახებ არ დაეთანხმა გურამ ლომჯარია, რომელიც თავის დროზე, როგორც ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი, ხელმძღვანელობდა ამ წყალსადენის მშენებლობას:

„ყველაფერი დაანგარიშებული იყო, ისე გაკეთდა, მაშინ ლიხაურიდან 20-მდე ოჯახმა ითხოვა ჩართვა, გენერალურმა დირექტორმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ორი მილი ჩავდეთ, ერთი ანასეულისთვის, მეორე ლიხაურისთვის. შემდეგ გაკეთდა ლიხაურში ეს „პერემიშკები“ და ფაქტობრივად წყალსადენი ზიარი ჭურჭელი გახდა. წყლის დებეტი არის, მაგრამ ტრასა არის დაზიანებული ძალიან ბევრ ადგილას, თუ ტრასა აღდგება, პრობლემაც მოგვარდება“.

სანამ წყლის დებეტზე იკამათებდნენ, მანამდე აშკარად გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურდა ძველი წყალსადენის შენარჩუნება. დარბაზში რეპლიკამაც გაჟონა, რომ „ვიღაც-ვიღაცეები დაინტერესებული არიან ამ წყალსადენის ხელში ჩაგდებით“.

რაც შეეხება დებეტს, რომელიც დარბაზში მყოფთათვის ერთგვარი დაპირისპირების საგანი გახდა, მისი განსაზღვრა, როგორც გიგი კარსიამ აღნიშნა, ასე მარტივი არ არის. ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თქმით, შაბათისთვის მოავლენენ სპეციალისტებს თბილისიდან. გაზეთის ეს ნომერი დასაბეჭდად პარასკევს, 6 ივნისს მომზადდა. ამდენად, ვერ გეტყვით, შეუდგნენ თუ არა სათავე ნაგებობაზე წყლის დებეტის შესწავლას.

ოზურგეთის რესტორნებმა „სახალხო კონტროლი" ვერ გაიარა

5 ივლისს, **TV** "იბერიაზე" შევრცხვით. გადაცემა „სახალხო კონტროლის" ჟურნალისტები, ლიზა ვადაჭკორია და მადონა კოიძე ოზურგეთის რესტორნებში არსებული საგანგაშო სანიტარული მდგომარეობის შესახებ გვიყვებოდნენ. ანტისანიტარია, ტარაკანები, ობობას ქსელები, მოუწესრიგებელი სამსაზეულოები და საპირფარეშოები.

პირველად, ჟურნალისტმა მატარებლის სადგურის ტერიტორიაზე გაისეირნა, სადა, მისი თქმით, ქალაქის მაჯისცემა უნდა იგრძნობოდეს. აქედან დაიწყო მათი გაკვირვება, როცა ბაქანთან მატარებლის ერთადერთი შემადგენლობა დახვდათ ისიც ძველი ვაგონებით, ირგვლივ კი სიცარიელე. მატარებლის სადგურიდან ჟურნალისტებმა იქვე, ახლოს მდებარე ლუდის ბარ "ნატახტარში" გადაინაცვლეს. ყველაზე მძიმე მდგომარეობა სწორედ აქ დახვდათ. ბინძური სამზარეულო და საკანალიზაციო წყლები, რომელიც პირდაპირ მდინარეში ჩაედინებოდა. მადონა კოიძემ რამდენჯერმე იხმარა ტერმინი „კრიტიკული შეუსაბამობა". „ტარაკანები არიან დიდებიც და პატარებიც. მე თუ ვხედავ, თქვენ რატომ ვერ ამჩნევთ? თუ ამჩნევთ, რატომ არ ებრძვით?"გაკვირვებით კითხულობდა ჟურნალისტი და აგრძელებდა: „ხორცი ეტიკეტების გარეშე, აქ ბუზებიც ბლომად არის,. სრული ანტისანიტარიაა. კოშმარია. როცა ასეთი მდგომარეობაა ობიექტი არ უნდა ფუნქციონირებდეს"

იდეალურთან ძალიან შორს მაგრამ ნატახტართან" შედარებით უკეთესი მდგომარეობა აღმოჩნდა რესტორან "ქალაქურში". აქ ჭურჭლის მოწესრიგებაზე გასცეს რეკომენდაცია. ჭურჭელთან ერთად იდგა სარეცხის მანქანა. იქვე, დარეცხილ ჭიკებთან და თეფშებთნ ელაგა სადეზინფექციო, სარეცხი საშუალებებიც. მაცივარში ერთად იდო ნაყინი და ხორცი. საბოლოოდ ლიზა ვადაჭკორიამ აქაურობა 5-ბალიანი სისტემით სამიანზე შეაფასა.

„მე არ ჩამომიყვანია" იუარა წამყვანმა ტარაკანის დანახვისას, როცა რესტორნის თანამშომელმა თქვა, რომ „ფიროსმანში" მწერები არ არიან. ტარაკანა კადრში ნამდვილად ჩანდა.

ასევე იყო ხელახალი მოხმარებისთვის ტაფებზე შენახული ზეთი. ძალიან კოროზირებული მაცივარი, რომელშიც ხორცი ელაგა, თანაც ეტიკერების გარეშე. იატაკზე იდო მზა პროდუქტი რომელიც ჟურნალისტების დიდი დაკვირვების შემდეგ "ჩაქაფული" აღმოჩნდა. "ხაჭაპური კარგი აქვთ" საპირფარეშოდან გამოეხმაურა ვადაჭკორიას რესტორნის სტუმარი.

ჟურნალისტებთან ერთად ობიექტებზე მივიდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი, ნინო შეწირული.

ოზურგეთში, „სახალხო კონტროლის" შემდეგ რამდენიმე რესტორანი დროებით დაიხურა

რა უნდა ვიცოდეთ ვადაგადაცილებული სესხების შესახებ, რომ მომავალში სესხის აღება არ გაგვირთულდეს?

„კრედიტ ინფო საქართველოს" ბაზაში მსესხებელზე ნეგატიური ჩანაწერი მართალია, მხოლოდ 5 წლის განმავლობაში რჩება, თუმცა სტატუსი „იყო ნეგატიური" საფინანსო ინსტიტუტების შიდა ბაზაში მუდმივადაა.

საფინანსო ორგანიზაციები კი სესხის გაცემისას გარდა „კრედიტ ინფო საქართველოს" ბაზისა, შიდა ბაზით ხელმძღვანელობენ და სესხის გაცემის გადაწყვეტილებას მხოლოდ პირის საკრედიტო ისტორიის გაანალიზების შემდეგ იღებენ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ყველა მსესხებელმა საფინანსო ორგანიზაციების მიმართ ნაკისრი ვალდებულება შესრულოს, რათა მომავალში მას დამატებითი პრობლემები არ შეექმნას.

რატომ იზრდება პრობლემური სესხების რაოდენობა? ამის არაერთი მიზეზი არსებობს, მათ შორის, ყველაზე მთავარი ეკონომიკური მდგომარეობაა. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანების ქცევა, როდესაც ისინი სესხს არასწორი მიზნით იღებენ, მაგალითად, აზარტული თამაშებისთვის. არადა, ამ შემთხვევაში მიზანი თავიდანვე მცდარია, რადგან გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მოსახლეობის ნაწილს, ფინანსურ მდგომარეობა კიდევ უფრო ურთულდება.

როგორც „ბიზნესპრესთან" საუბრისას მიკროსაფინანსო" ორგანიზაცია „ლენდოს" აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ნონიკაშვილი აცხადებს, ბოლო დროს პრესაში თუ ონლაინ მედიაში აქტიურად შუქდება საკრედიტო ისტორიიდან (ე წ „შავი სია") შედარებით მოკლე ვადაში კლიენტის ამოღების საკითხი. „არსებული რეალობა სამწუხაროდ, მცდარ წარმოდგენას და მოლოდინებს აჩენს ბაზარზე. მომხმარებლები ფიქრობენ, რომ მათი პრობლემა მოიხსნება, როცა მაგალითად, ნეგატიური საკრედიტო ჩანაწერი იქნება 5 წლის მაგივრად 3 წელი. შეცდომაა მსგავსი იმედით ცხოვრება.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეული საფინანსო ინსტიტუტი, იქნება ეს ბანკი თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს ძირითად ანალიზს და რისკების შეფასებას, „კრედიტ ინფო საქართველოს" მონაცემები ამ შემთხვევაში დამატებით ინფორმაციას წარმოადგენს. ყველას დაუგროვდა გარკვეული მონაცემთა ბაზა, რის საფუძველზეც ხორციელდება საკრედიტო რისკების შეფასება.

აქედან ცალსახაა, რომ საკრედიტო ინსტიტუტები კლიენტებზე ჩანაწერებს ინახავენ, სადაც ნათლად ჩანს კლიენტის საკრედიტო ქცევა, თუ როგორ იხდიდა ის ვალდებულებებს წარსულში. შესაბამისად, კომპანიები თავად გადაწყვეტენ მიდგომას ამა თუ იმ ისტორიულად ნეგატიური საკრედიტო ქცევის კლიენტთან. გარდა იმისა, რომ ასეთი კლიენტი მომავალში მიიღებს უარს, საქმე მხოლოდ ამ უარით არ დასრულდება. ქვეყანაში მოქმედებს სესხის ამოღების რამდენიმე მექანიზმი. გარდა სესხის ამოღები ორგანიზაციების თუ კომპანიების აქტიური მუშაობისა, შესაძლებელია იურიდიული მიმართულების ჩარევაც, სასამართლო თუ სააღსრულებლო სამართალწარმოება, რომელიც სრულდება კლიენტისათვის არასასურველი შედეგით. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანს დაუკარგავს მანქანა, სახლი თუ მიწა, გადაუხდელი სესხის გამო, თუნდაც ეს ყოფილიყო შედარებით მცირე თანხა. საფინანსო ორგანიზაციები, ბანკები თუ მიკროსაფინანსო კომპანიები ცდილობენ აქტიურად სამართალწარმოების, როგორც ერთერთი ყველაზე ეფექტური არხის გამოყენებას.

იმისათვის, რომ ადამიანი არ მოხვდეს არც „შავ სიაში" და არც ქონება დაკარგოს, შესაბამისად, მომავალშიც ისარგებლოს საკრედიტო პროდუქტებით, აუცილებელია პასუხისმგებლობის გათავისება და საფინანსო სექტორის მიმართ აღებული ვალდებულების შესრულება. ხშირად კლიენტები უშვებენ შეცდომას და კომპანიის წარმომადგენებთან სრულიად არასწორ კომუნიკაციას ამყარებენ. მოვალეების ნაწილი ამბობს, რომ „ორგანიზაცია მათ ვერაფერს ვერ დაუშავებს", ეს რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა, რაც საბოლოოდ ნეგატიურად აისახება მსესხებელზე. რა უარყოფითი შესაძლებელია მოყვეს გადაუხდელ სესხს: 1. ე წ „შავი სია"-ში მოხვედრა; 2. მომავალში სესხის აღების გართულება; 2. სასამართლო წარმოება, რომელსაც შესაძლებელია მოყვეს ვალდებულების ზრდა; 3. სააღსრულებლო ბიუროს ვიზიტი და ქონების კონფისკაცია (ჩამორთმევა/გაყიდვა); 4. საბანკო ანგარიშების დაყადღება, კლიენტი ვეღარ შეძლებს ბანკში ოპერაციების განხორციელებას და ა.შ. ასევე არასწორია საფინანსო სექტორის მოთამაშეებთან სესხების რანჟირება. კერძოდ, მსესხებლების ნაწილი ფიქრობს, რომ ჯერ ბანკის სესხი უნდა დაფაროს, შემდეგ კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან ონლაინ-სესხების კომპანიების. ასეთ დროს, ამ მსესხებლის საკრედიტო ისტორია ხდება „ნეგატიური" ვთქვათ ონლაინ სესხების კომპანიაში და სესხს ის უკვე ვერც ბანკში აიღებს, ვინაიდან ბანკი ამ ვადაგადაცილებულ სესხს მაღალი რისკის კატეგორიას მიანიჭებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა საკრედიტო ვალდებულებას ერთიანი პრინციპით მივუდგეთ, რომ ყველა ვალი არის გადასახდელი, პასუხისმგებლობა ერთნაირი სიმძიმისაა ნებისმიერი ინსტიტუტის თუ საკრედიტო პროდუქტის შემთხვევაში.

რა უნდა გავაკეთოთ ვადაგადაცილების დროს? როგორ უნდა იმოქმედოს კლიენტმა და სესხის გამცემმა ორგანიზაციამ? ვადაგადაცილების დროს მიზანი ერთობლივი უნდა იყოს, ერთის მხრივ, კლიენტმა უნდა გადადგას ნაბიჯი პრობლემის მოგვარებისაკენ, აჩვენოს კომპანიას, რომ თანახმაა ვადაგადაცილებაზე პასუხისმგებლობის აღებაზე, მეორე მხრივ კი კომპანიამ შესაძლებლობების ფარგლებში შეძლოს გარკვეული შეღავათების შეთავაზება, გადახდის გრაფიკის გონივრულ ვადაზე გადანაწილება და ვალდებულების შესრულების საბოლოო შეთანხმება.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ივანე სალუქვაძე (ვანო სერელი)

სალუქვაძეები ძირითადად გურიაში ცხოვრობდნენ სოფ.აჭაში, ისინი აჭის წმგიორგის სახელობის ეკლესიის (აიგო XII-XIII სს.მიჯნაზე) შეწირულ ყმებად ანუ საეკლესიო გლეხებად ითვლებოდნენ.დროთა განმავლობაში სალუქვაძეები (სალუქვაძეები) დასახლდნენ გურიის სხვადასხვა სოფლებში (ლიხაური, ცხემლისხიდი, ძიმითი, მერია).

ივანე დიომიდეს ძე სალუქვაძე დაიბადა 1904 წლის 30 ივნისს სოფ. ლიხაურში. მამა დიომიდე განათლებული და მწიგნობარი კაცი ყოფილა, ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც სახლთან ერთად დაეწვათ 1918 წელს ოსმალების შემოსევის დროს. გარდაიცვალა 40 წლის ასაკში. ბავშვების აღზრდა იკისრა ახალგაზრდა ქვრივმა ნინო გიორგის ასულმა ჯაყელმა. ჰყავდათ ოთხი შვილი: ივანე, გიორგი, ლეონიდე, ელენე. გიორგი ეკონომისტი იყო, მუშაობდა ჯერ ოზურგეთის და შემდეგ თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფასრიკის ეკონომისტად, — დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ლეონიდე ეკონომისტი იყო,მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ელენე ლიხაურის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. დიომიდეს და ნინოს შვილები ოზურგეთის რაიონის საზოგადოების აქტიური და დაფასებული წევრები იყვნენ.

ივანე სწავლობდა ოზურგეთის გიმნაზიაში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა ჰუმანიტარულ ტექნიკუმად. სასწავლებელი დაამთავრა 1924 წელს და იმავე წელს დაინიშნა სოფელ ლიხაურია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1930 წელს ვანო სალუქვაძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლაში მასწავლებლად. შემდეგ გადაიყვანეს განათლების განყოფილების ინსპექტორად, პარალელურად სხვადასხვა დროს მუშაობდა ოზურგეთის პედაგოგიურ სასწავლებელში, ოზურგეთის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში,ჩაის ტექნიკუმში, რაიონულ გაზეთ, „ლენინის დროშის" პასუხისმგებელ მდივნად, დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელად.

ბატონი ივანე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს არჩეული იყო: განათლების მუშაკთა საკავშირო სამაზრო გამგეობის წევრად, სასოფლო საბჭოს დეპუტატად, იყო სალექციო ბიუროს წევრი, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, რაიონის სკოლის მასწავლებლების საიმედო მრჩეველი და დამრიგებელი, მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდი ვანო", „ჩვენი ვანო", მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება და „სახალხო განათლების წარჩინებული".

ვანო სალუქვაძე აქტიურ ლიტერატურულ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ბავშვობიდან გატაცებული იყო პოეზიით, ლიტერატურით 19 წლისამ ჯერ კიდევ მოსწავლემ რამდენიმე თანამზრახველთან ერთად გამოსცა ნაბეჭდი ალმანახი „ჩვენი არგონავტი" (გამოვიდა რამდენიმე ნომერი,ამ ჟურნალში აისახა მოსწავლეთა შემოქმედება, თანამშრობლობდა რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში: „ახალგაზრდა კომუნისტი,"„სახალხო განათლება," „აჭარისტანი", „ფუხარა" აქვეყნებდა: ლექსებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, თარგმანებს, სტატიებს, ოგონებებს. მისი ფსევდონიმი იყო „ვანო სერელი" და „ვანო ბინდელი."იყო მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების, „პონტოს" წევრი. იყო ოზურგეთში არსებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანების ფუძემდებელი და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პერიოდულ ხელნაწერ ჟურნალს „შოთას ღიმილი".გამოცემული აქვს მოგონებები მისი თანამედროვე საქ.სახ. არტისტის სამსონ ხურციძის შესახებ.

ვანოს მეუღლე ნადეჟდა (ნადია) ფილიპეს ას რუსიეშვილი დაიბადა 1904 წლის სექტემბერში. ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას ოზურგეთის პირველ საშუალო სკოლაში. აღზარდეს სამი შვილი: თამაზი-ჟურნალისტი, დალი პედაგოგი ასწავლიდა ინგლისურ ენას ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლაში (ამჟამად პენსიონერი) და ლევანი — ინჟინერი.

ივანე ხშირად იტყოდა თურმე სამი ნატვრა მაქვს :

1. მქონდეს პატარა ქოხი (1918 წელს თურქებმა სახლ-კარი გადაუწვეს ოზურგეთში და ლიხაურში ცხოვრობდა).შემდეგ ქირით ოზურგეთში 15 წელი, სანამ ნასახლარზე ისევ აიშენებდა სახლს.

2.ჯანმრთელი ცოლ-შვილი.

3.კარგი ბიბლიოთეკა.

შემდეგ მეოთხე ნატვრაც დაამატა თურმე ოცდაჩვიდმეტში (1937)რეპრესირებული ხალხის რეაბილიტაცია, მომასწროო-ოთხივე სურვილი აუსრულდა. „მაშინ, როცა რეპრესიები დაიწყო ყველა აკრძალული ლიტერატურა: ჯავახიშვილი, ტიციანი, იაშვილი და ბევრი სხვა კი არ გაანადგურა ,არამედ ყუთებში ჩააწყო და ლიხაურში გადამალა, სადაც მე და თამაზი მალულად ვკითხულობდითო",— ამბობს ქალბატონი დალი.

შტრიხი ვანო სალუქვაძის დახასიათებისათვის: შუშანა გოგუაძის(პედაგოგი აწ.გარდაცვლილი) ნაამბობი ისევ ოცდაჩვიდმეტი წლის შესახებ: —„მამაჩემი კირილე გოგუაძე აღმასკომის თავმჯდომარე იყო ოზურგეთში,როცა დაიწყო ოზურგეთის თეატრის მშენებლობა 1937 წელს და კიდეც ემსხვერპლა ამ ამბებს,მიზეზი იყო ის,რომ ოზურგეთის თეატრი იყო მოსკოვის დიდი თეატრის მინი პროექტი ორი ვერცხლისფერი ნაძვიც კი დარგეს .ამის გამო დაიჭირეს. მეორე დღეს სკოლაში მივედი, არცერთი მოსწავლე არ მომეკარა, ვიდექი მარტო გარიყული.დაიწყო გაკვეთილი, ბატონი ვანო შემოვიდა კლასში. მიხედა რაშიც იყო საქმე, გაკვეთილი არ ჩაატარა და ისაუბრა ოცდაჩვიდმეტ წელზე და მაშინდელ მდგომარეობაზე.მეორე დღეს ყველა ველოდით, რომ ვანო სალუქვაძე სკოლაში არ მოვიდოდა,გვეგონა დაიჭერდნენ, როგორც ჩანს არც ერთმა მოსწავლემ სახლში ეს ამბავი არ მოყვა,რაც იმას ნიშნავდა,რომ არავინ დაასმინა."ასეთი პიროვნება გახლდათ ვანო (ივანე) სალუქვაძე -„სერელი".

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი

სოფო შათირიშვილი ყაზახეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია

ოზურგეთელმა ბირთვის მკვრელმა გოგონამ ალმა-ათაში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჟღერა

29-30 ივნისს ალმა-ათამ ყაზახეთის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში (დიდები), რომელშიც წარმატებით გამოვიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსანი, საქართველოს ნაკრების წევრი სოფო შათირიშვილი (მწვრთნელები – კოტრიკაძე, მანთიძე).

სოფომ პირველობა არავის დაუთმო I ადგილი, ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა და ყაზახეთში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჟღერა.

ვულოცავთ სოფოს მორიგ წარმატებას და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ!

ოზურგეთელი მძლეოსნების შთამბეჭდავი ასპარეზობა ახალციხის ღია პირველობაზე

25-27 ივნისს ახალციხემ ღია საერთაშორისო ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში, რომელშიც სამი ასაკობრივი ჯგუფის დიდები – 2002-2003 და 2003-2004) წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მათ შორის იყვნენ ზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების გუნდის მძლეოსნები. დიდებში 100 მ-ზე რბენაში პირველი ადგილი მოიპოვა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ოზურგეთელი გიორგი დეკანოიძე.

2003 -2004 წლებში დაბადებულთა შორის 100 მეტრზე რბენაში მეორე იყო ოზურგეთელი მიშიკო მახარაძე.

500 მეტრზე რბენაში დიდებს შორის II-III ადგილებზე ჩვენებურები ამირან თავართქილაძე და გიორგი დეკანოიძე გავიდნენ.

ბირთვის კვრაში ახალგაზრდებს შორის II საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა გიორგი დეკანოიძემ, ხოლო შუბის ტყორცნაში III საპრიზო ადგილზე მიშიკო მახარაძე გავიდა. 4X 400 ამანათრბენში კი ჩვენი გუნდი II ადგილზე გავიდა და საერთო ვაკაში ერთი ოქროს, შვიდი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მძლეოსნები ახალციხის მერმა და სპორტის სამსახურმა შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით დაჯილდოვეს.

ოზურგეთელი მძლეოსნები შეჯიბრებისთვის მარინე კოტრიკაძემ მოამზადა.

ოზურგეთელი მკვალჭიდელების წარმატებები ბათუმში

29-30 ივნისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა მკლავჭიდში. აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდის წევრებმა: ლუკა მგელაძემ და ავთანდილ კვაჭანტირაძემ.

ლუკა მგელაძემ 75 კგ წონით კატეგორიაში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილი დაიკავა („მარჯვენა მკლავი“); 80 კგ წონით კატეგორიაში მესამე იყო ავთანდილ კვაჭანტირაძე 9 მარცხენა მკლავი)

მწვრთნელები – გიორგი რუსი ეშვილი და ზური ბურჭულაძე

ოზურგეთელი მოჭიდავეების მონაგარი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე

2-5 ივლისს თბილისში ჩატარდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 20 ქვეყნის ნაკრები გუნდები. აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდის მოჭიდავეებმა.

– 72 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგი ხუჭუა, მწვრთნელები – ვლადიმერ და ირაკლი ზურაბიანები;

– 63 კგ წონით კატეგორიაში მესამე იყო აწ გარდაცვლილი ალექსანდრე ბოლქვაძის აღზრდილი ლევან ქავჟარაძე, მწვრთნელი – გელა ჩოფლიანი;

– 98 კგ წონით კატეგორიაში ასევე მესამე ადგილი მოიპოვა ალექსი ლოდიამ, მწვრთნელი – თენგიზ მუჯირი.

განცხადება

იყიდება სასწრაფოდ, ძალიან იაფად საცხოვრებელი სახლი და წისქვილ კომბინატი თავთავიანთი მიწის ნაკვეთებით ოზურგეთის რაიონის სოფ. შემოქმედში.

551 54 84 00
568 01 07 47.
ლევანი.

სკანვორდი





№ 26-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მერაბ მამარდაშვილი; მეტყველების ორგანო – ენა; ინტელექტუალური სპორტის სახეობა – ჭადრაკი; საქები ლიტერატურული ჟანრი – დითირამბი; პროდუქტების მაღაზია – გასტრონომია; აფრიკული ფეხსაცმელი – ბაბუში; მდინარე ავსტრალიაში – აშბერტონი; მე-11 თვე – ნოემბერი; ალბანური ფული – ოლიუ; პერიოდული სისტემის შექმნელი – მენდელეევი; თეატრალური ტანსაცმელი – ფრაკი; თ. აბულაძის ფილმი – მონანიება; ტექნიკური კულტურა – აკაკი; სამეფო წვეულება – ნადიმი; უელსელი ფეხბურთელი – ბეილი; ოზურგეთული ანსამბლი – ელესა; საბჭოთა პარტიული მუშაკი – ანდროპოვი; სოფელი სამეგრელოში – ლია; ნაბიჯი ცეკვაში – პა; ღამის კლუბი – ბასიანი; გვრიტის ბარტყი – გულიო; მამაკაცის სახელი – ირიდიონი; შენ მეგრულად – სი; ქართული ანსამბლი – ოროველა; გამოსირებული აქლემი – სირაქლემა; მთავარი საინფორმაციო პროგრამა სსრკ-ში – ვრემია; ამერიკელი მწერალი პო; ანბანის მე-13 ასო – ნ; ბელარუსი პოეტი – კონსტანტინე მიცკევიჩი; ანა მოფერებით – ანი; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში – ქვიანი; თმის ბუნებრივი საღებავი – ინა

ქალაქი ოზურგეთი
სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-27

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



ალექსანდრე მესამე მაჭუტაძემ გიორგი მეხუთე გურიელის ასული აღათი დაისვა თანამეცხედედ. სიძედ მოკიდებულ მაჭუტაძეს მანვე უწყალობა სახლთუხუცესის სახელი და დიდძალი ყმა და მამული.

სვიმონ მესამე გურულის ზეობაში (1789-1792) აღზევდა ქაიხოსრო მაჭუტაძე. მამია მეხუთე გურიელის მამა (სვიმონ გურული) მას თავის „ძმად“ მიიჩნევდა... იგი განცხრომასა და პატივში ჰყავდა.

XVIII ს-ის მიწურულსა და XIX ს-ის დამდეგს ოზურგეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრე სიმონ გურიელი სახლთუხუცესად კვლავ ალექსანდრე მაჭუტაძეს აღიარებს. იგია ამავე დროს ლანჩხუთის მოურავიც მაჭუტაძეთა სათავადოს ეპყრო და გვარის ხერხემალიც იგია ამავე დროს.

მამია მეხუთე გურიელის წყალობის შედეგად 1804 წელს ალექსანდრე და დავით იოანეს ძე მაჭუტაძეებს წილად ხვდათ მთავრის ორგულის: ალექსანდრე ნაკაშიძის ყმა-მამული „ასკანას, ხარაულს, ოქროსქედსა და ვაკიჯვარში.

ქაიხოსრო გურიელის რეგენტობის ჟამს (1797-1809წ.წ.) სახლთუხუცესის სახელთა მფლობელი მაჭუტაძეები გაუორგულდნენ გურიელებს. ოზურგეთის სამთავრო სახლს უფლებებს არად აგდებდა გიორგი ალექსანდრეს ძე მაჭუტაძე.

გასულდიდებული თავადი ტყვეებით ვაჭრობდა. იგი არც კი დასწრებია იმ კრებას რომელიც ქაიხოსროს ინიციატივით იქნა მოწვეული ტყვეთა სყიდვის აკრძალვის მიზნით. უზნეო თავადი ტყვეებით ვაჭრობას კვლავ აქტიურად აგრძელებდა.

ქაიხოსრო გურიელი რისი დამთმობი იყო ურჩი ფეოდალის მიმართ. შემოსწყრა ულირსს. „ყმამამული ჩაომართვა და მის სახლიკაცს გადასცა. დამცრობილი გიორგი მაჭუტაძის შტო შემდგომ აზნაურად დარჩა“.

XIX საუკუნის დამდეგს გურიელის სამთავრო კარზე კვლავ გაიელვა მაჭუტაძეთა სახლთუხუცესობამ. მამია გურიელის (1809-1826) ქვეყნის უპირველესი დიდი მთავრის შემდგომ დავით იოანეს ძე მაჭუტაძე იყო. აქტიური მებრძოლი რუთაგან სამთავროს ხელყოფის საქმეში გურიის უკანასკნელმა მთავარმა მამია მეხუთემ, როგორც ყველაზე უფრო საპატიო და გამორჩეული პირი, სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს 1825 წელს სანკტ-პეტერბურგს წარავლინა დეკაბრისტთა მმუსვრელ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის კორონაციაზე.

არც მამია მეხუთე და არც მისი სიკვდილის შემდეგ განსვენებული მთავრის თანამეცხედრე სოფიო წულიკიძე გურიელისა, დავით მაჭუტაძის გარეშე ნაბიჯს არ დგამდნენ და ყველაფერს ამ გურიის „ტალეირანს“ ეკითხებოდნენ.

დავით მაჭუტაძე მონაწილეობას იღებდა 1820 წლის გურია-იმერეთის საეკლესიო აჯანყებაში რუსთა წინაღმდეგ.

1827 წლიდან შედიოდა „გურიის სამმართველოს საბჭოში“ დაკავშირებული იყო ბრწყინვალე პორტას“ სტამბულის კართან გურიიდან რუსთა გაძევების საქმეში.

იყო ფავორიტი ოსმალეთში ლტოლვილ სოფიო გურიელისა, აქტიური მონაწილეობას იღებდა მამიას გარდაცვალების შემდგომ ტახტის მემკვიდრის – მცირეწლოვან დავით მამაის ძე გურიელის აღზრდის საქმეში.

გურიის სამთავროს გაუქმების შემგომ (1829 წ.) გაუქმდა ოზურგეთის გურიელთა რვაასწლოვანი ტახტი და მასთან ერთად სახლთუხუცესის თანამდებობაც. ისე როგორც მამია მეხუთე გურიელი იყო გურიის უკანასკნელი ხელისუფალი, ისე როგორც მისი თანამეცხედრე სოფიო წულუკიძე გურიელისა, უცხოობაში აღსრულებული უკანასკნელი მთავრისა გურიის ქვეყნისა, ასევე დავით იაონეს ძე მაჭუტაძე გახლდათ უკანასკნელ სახლუთუხუცესი სვე გამწარებული. რუსის ხიშტებით მოვერაგებული პატარა გურიისა.

ოზურგეთის ქვეყნის სასამართლო საქმიანობაში უმთავრესს როლს თვით მთავარი ასრულებდა. იგი იყო როგორც მხარის გურიის, ასევე მისი დედაქალაქის ძირითადი მართლმსაჯული.

მის განსაგებ საქმეთა შორის შედიოდა: „ტყვეთა ვაჭრობის საკითხი“. ამ დანაშაულში მხილებულთა, როგორც ზემოთ მოვითითეთ, ქაიხოსრო მეოთხე გურიელის რეგენტობის და მამია მეხუთე გურიელის ზეობის ჟამს ცოხლად სწვავდნენ კოცონზე.

მთავარი განაგებდა და განაბჭობდა ე. წ. „ღვთის სამართალს ანუ ორთა ბრძოლას „მდუღარითა და გახურებული შანთით. გასამართლებაზე რომელსაც დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ ძველ არიელებში, რომელიც საკმაოდ ცნობილია ინდოევროპული ხალხების სამართალში და რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა მთელ საქართველოში და XVIII საუკუნის დამდეგს შეტანილი იქნა ვახტანგ VI-ის დებულებაში და დაფიქსირებული იქნა ამ სამართლის 36, 37, 38, 39, და 62 მუხლებში.

1874 წელს ოზურგეთში მყოფ ისტორიკოსს დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეს, აღნიშნულის შესახებ ფრიად ყურადსაღები ცნობები მიაწოდა შემოქმედის მონასტრის მღვდელმა გიორგი დუმბაძემ. სანკტ-პეტერბურგიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ოზურგეთის ქვეყნის ისტორიის შესასწავლად გურიაში საგანგებოდ მოვლენილი დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს.

გიორგი დუმბაძე არის „ფრიად საინტერესო კაცი“ რომელსაც შემოქმედში შევხდი, ეს არის შემოქმედის მკვიდრი, მღვდელი. . . რომელიც 90 წლისაა, მაგრამ სრულიად შემორჩენია როგორც ფიზიკური მხნეობა ისე საღი გონება. 40-50 წლის წინათ, როცა ჩურუქ-სუშის (ქობულეთის მხარენი, ე.გ.) ქრისტიანობა ცოცხლობდა და იქაური ეკლესიები ყველა მთელი იყო, გიორგი დუმბაძე, იქაური მოსახლეობის მიწვევით სხვა გურულ მღვდლებთან ერთად დადიოდა იქ ქრისტიანული საეკლესიო წესების აღსასრულებლად.

1820 წლის აპრილში მან საკუთარი თვალით ნახა პოლკოვნიკ (ონოფრე) პუზირევსკის მკვლელობა შემოქმედში და მისი მკვლელობის ვითარებას ისე ჰყვება, რომ სავსებით ეთანხმება ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ ცნობებს.

მაგრამ მისი ნაამბობი უფრო დაწვრილებითია. 1828 წელს იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში და გენერალ გესენნის (იმერეთის მმართველი გესეე ე.გ.) რაზმთან ერთად ულაშქრია ჩურუქსესა და ციხისძირში.

დუმბაძეს კარგად ახსოვს უკანასკნელი შემოქმედელი იოსები, რომელიც მისი სიტყვით, თაყაიშვილების გვარიდან იყო. ზოგიერთი მისი ცნობა, განსაკუთრებით გურიის მთავრების - სვიმონისა და მისი შვილის უკანსაკნელის წინა გურიელის, მამია მეხუთის ეპოქის დასახასიათებლად, ეთანხმება ჩვენს მიერ შეგროვებულ წერილობით სიგელებს, ასეთია სხვათაშორის მისი ცნობები ტყვეთა ვაჭრობაზე გურიაში...შევეხები დუმბაძის ნაამბობს სამართლის იმ ნორმის დაწვრილებით აღწერაზე, რომელიც გურიასა და მთელ საქართველოში ცნობილია მდუღარე შანთის საელით.

ენვერ გოგუაძე

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას

1990 წლიდან პენსიონერი გავხდი და ჩემს სოფელში ხელი მოვკიდე საქველმოქმედო საქმიანობას. სოფელ ზედა უჩხუბში იოანე ნათლისმცემელის სახელობის პანთეონში ავაგე პატარა ტაძარი, სადაც რელიგიურ სტენდებთან ერთად განვალაგე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის მებრძოლთა, მეორე მსოფლიო ომის გმირთა, სოფელ ცხემლისხიდის სახელოვან სპორტსმენთა, მგალობელთა და სხვა სამაგალითო ადამიანთა სტენდები.

ძალიან დასაფიქრებელია, რომ ვერც ცენტრალური, ვერც ადგილობრივი მთავრობა ვერ ახერხებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის დასაქმებას.

სოფელში არის სავარგულები და მშრომელი და გამრჯე ადამიანები ახერხებენ მათ დამუშავებას და ასე თუ ისე გააქვთ თავი, აქ პრობლემა სოფლებიდან დაშორებული საყანე ფართობების მოვლაა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაა ქალაქად. რატომ ვერ ხერხდება საკონსერვო და სხვა გადამამუშავებელი საწარმოების აგება (ერთეული მაგალითები გვაქვს მხოლოდ) და ხალხის დასაქმება?. 30 წელია ვხედავ, სიღარიბიდან როგორ თანდათან მივდივართ სიღატაკისკენ.

ადამიანებს იმედის ნაცვლად, ცენტრალური ტელევიზიებიდან მთავარ თემებად ესმით მკვლელობების, დაჭრის ან სხვა უბედურებების შესახებ. პოლიტიკოსები იმედის ნაცვლად ერთმანეთთან დაპირისპირებით და ქვეყნის ლანძღვა-გინებით არიან დაკავებულნი. სკანდალურ თოქშოუებს და სერიალებს მიაქვს ძირითადი საეთერო დრო...

ახლა 87 წლის ვარ და არ შემიძლია უცხოეთში ემიგრანტად წასვლა.

მინდა ჩემს ქვეყანას უკეთესს ვხედავდე.

მიშა ჟღენტი,
სოფელი ცხემლისხიდი
(უჩხუბი).

დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე იმსჯელეს

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე იმსჯელეს. როგორც სხდომაზე აღინიშნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების დასრულებისთანავე დაიწყება ცენტრის რეორგანიზაციის პროცესი ფილიალების ა(ა). ი.პ-ად ჩამოყალიბების მიზნით. მომზადდება საკრებულოს მიერ დასამტკიცებელი ნორმატიული აქტების პროექტები, ბაღებში კონტიგენტის გადანაწილების, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადების გეგმები და სხვა.

კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ მერიის შესაბამისი სამსახური, საკრებულოს დარგობრივ კომისიასთან კოორდინირებულად შეიმუშავებს და საკრებულოს უმოკლეს ვადაში წარუდგენს საბავშვო-სააღმზრდელო დაწესებულებების რეფორმის განხორციელების გეგმას კონკრეტული ვადების მითითებით.

კომისიის წევრებმა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაგეგმილი სოციალური დახმარებების გაცემის შესახებ“ ინფორმაციაც მოისმინეს, რომელიც ცნობად იქნა მიღებული.

დაისვა საკითხი სოფელ გურიანთაში ბიბლიოთეკის აღდგენის თობაზე, რაზედაც მერიის შესაბამისი სამსახურები იმსჯელებენ და საკრებულოს უახლოეს პერიოდში მიაწვიდიან ინფორმაციას სასოფლო ბიბლიოთეკის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, სხდომაზე ლელა საჯაიამ სამოქმედო გეგმის პროექტი წარადგინა.., გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, განახორციელოს ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივები," - აღნიშნა ლელა საჯაიამ.

მანვე ყურადღება სამოქმედო გეგმის ამოცანებზე, მიზნებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებზე გაამახვილა. შეხვედრაზე, რომელსაც საბჭოს სხვა წევრები, საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ, მოისმინეს ფონდი "სოხუმი"-ს წარმომადგენლების რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის პროექტის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.

გენდერული თანსწორობის საბჭო სამოქმედო გეგმაზე მუშაობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინირებულად ახორციელებს. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის, ფონდი "სოხუმი"-ს შემდეგ, სამოქმედო გეგმაზე მუშაობას საბჭო, ქალთა საინფორმაციო ცენტრთან ერთად გააგრძელებს.

ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული კულტურის წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ:

ღირსების ორდენით

ზაზა ჯინჭარაძე – ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი;
ომისხან (ომარ) ურუშაძე– ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი;
ნუგზარ ბარამიძე – ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი.

ღირსების მედლით

მარგარიტა ავაქიანი, თემურ კვირკველია, ლია მარტიაშვილი – ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები;
ვახტანგ ჩოლობარგია – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ავთანდილ კალანდარიშვილი – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხმის რეჟისორი, რადისტი.

* * *

საქართველოს კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო ,,ხელოვნების ქურუმი'' – **ამირან ქადეიშვილი**

* * *

შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრიზები

თეატრალური საზოგადოების უმაღლესი ჯილდო – მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი – **ვასო ჩიგოგიძე;**
წუწუნავას სახელობის ჯილდო – **ვასო ჩიგოგიძე, ოთარ კუტალაძე.**

ვერიკო ანჯაფარიძე – **ზაირა თოთიბაძე, ბელა კიკვაძე;**
სესილია თაყაიშვილი – **თამარ მდინარაძე;**
ლამარა თურმანიძე – **ვერიკო ხუხუნაიშვილი;**
გოგუცა კუპრაშვილი – **მარგარიტა ავაქიანი, შორენა გვეტაძე;**
ალექსანდრე წუწუნავა – **ოთარ კუტალაძე;**
გიორგი შავგულიძე – **ნუგზარი ბარამიძე;**
სანრო ჟორჟოლიანი – **ომარ ურუშაძე;**
ევტროფი თალაკვაძე – **თემურ კვირკველია;**
რომან ლომინაძე – **ალექსანდრე ლომიძე;**
პეტრე ოცხელი – **თამაზ დარჩია.**

ამაგდარი

ჯემალ კეჭაყმაძე, ნელი ბასილაშვილი, ნინო ჯულელი, ლია მარტიაშვილი, ავთანდილ კალანდარიშვილი, ვახტანგ ჩოლობარგია, ილია ხინიკაძე, მადონა გეგიაძე.

* * *

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სახელობითი პრემიები გადაეცათ:

აკაკი ვასაძის – **ამირან ქადეიშვილს;**
სესილია თაყაიშვილის – **ზაირა თოთიბაძეს, ბელა კიკვაძეს;**
გიორგი შავგულიძის– **ომარ ურუშაძეს, ნუგზარ ბარამიძეს;**
დოდო ალექსიძის– **ვასილ ჩიგოგიძეს.**

მილოცვა

საუკუნენახევრის წინ უფლის ყალმით დახატულ გურიაში დაიბადეთ თქვენ ჩემი მშობლიური ქალაქის თეატრი, როგორც ქართული კულტურის ერთი თვითმყოფადი შენაკადი, ერთი ლამაზი ოაზისი. და იარეთ ისე ღირსეულად, რომ ეპოქის ბიწი და ჭუჭყი არ მოგკარებიათ. თეატრი სხვადასხვა დროში განფენილი ერის სულია, რომელიც აწმყოს ესაუბრება. აი, ასე ესაუბრებით თქვენ ჩემს ჩემს ქალაქს მაღალი ხელოვნების ენით.

გმადლობთ, რომ იმ ცივ, უსახურ პერიოდში ჩემი ბავშვობა გაათბეთ. გმადლობთ, რომ ასეთი რუდუნებითა და თვდადებით ემსახურებით ჩემს ქალაქსა და აქედან გამომდინარე საქართველოს.

დავით შემოქმედელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების
პრეზიდენტი, კულტურის დესპანი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 ივლისი ორშაბათი	10 ივლისი სამშაბათი	11 ივლისი ოთხშაბათი	12 ივლისი ხუთშაბათი	13 ივლისი-პარასკევი	14 ივლისი შაბათი	15 ივლისი კვირა
მზე +20+30	მზე ღრუბელი +21+29	მცირე წვიმა +20+26	წვიმა +21+25	მცირე წვიმა +18+22	მცირე წვიმა +18+21	ღრუბელი +16+21